

**შიდა ქართლის ჰიდრონიმთა
კლასიფიკაციისათვის (მეჯუდის ხეობა)
ON CLASSIFICATION OF HYDRONYMS FROM
SHIDA KARTLI (MEJUDI GORGE)**

ნიკოლოზ ოთინაშვილი

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
გორი, საქართველო

Nikoloz Otinashvili

Gori State Teaching University
Gori, Georgia

ABSTRACT

Mejudi Gorge, just like other gorges in Kartli, is very interesting due to its history and geographic names part of which is attested in several written monuments, including the Descriptions authored by Vakhushti Bagrationi and Ioane Bagrationi. Description of the Ksani Gorge of 1781 compiled by Ivane Javakhishvili is an important source for the study of hydronyms of the gorge.

Historically, the principle of organization by gorges in Shida Kartli has been associated with rivers and their system. A lot of water-related geographic names occur in Mejudi Gorge. The names mostly include the terms *ćqali*, *hevi* which represent the second component of a syntagm. For example, *Benderis ćkali*, *Goretis ćqali*, *Gomtis ćqali*, *Aşaturis ćqali*, etc. *Bezet hevi*, *Ivretis hevi*, *Tiris hevi*.

There are two types of hydronyms in the form of syntagms:

1. substantive: *Pitsartis Tskali*, *Gubis Tskaro*, *Kldi(s) Tskaro*, etc.
2. attributive: *Tetri Tskali*, *Zhave Tskali*, *Liklika Tskaro*, etc.

Hydronyms formed through the *-ura* / *-ula* suffixes are rather frequent in the gorge: *şind-ur-a*, *ćoh-ur-a*, *van-ur-a*, etc. *rehv-a*, *ćorćl-a*, *grćel-a*, *mżavel-a*, etc.

The analyzed material clearly reveals localization, feature and motivation of particular hydronyms, thus providing important information for clarification of several historical and ethnic issues.

საკვანძო სიტყვები: ჰიდრონიმია, ტოპონიმიკა, მეჯუდის ხეობა, შიდა ქართლი.

Keywords: Hydronymy, toponymy, Mejudi Gorge, Shida Kartli.

შესავალი

შიდა ქართლში ისტორიულად ხეობურად მოწყობის პრინციპი მდინარეებსა და მათ სისტემას უკავშირდება, რაზეც ვახუშტი ბაგრატიონი თავის „საქართველოს გეოგრაფიაში“ წერს: „კვალად მდინარენი მრავალნი

და წყარონი დიდ-დიდნი, ცივნი, გემოიანნი და შემრგონი, მკურნალნი სენტანი და ტბანი დიდ-დიდნი და მცირენი, თევზითა სავსენი და ვიეთნი უხმარნი“...

აღნიშნულ ნაშრომში მე-18 საუკუნის პირველი ნახევრის შიდა ქართლის ხეობების, მოსახლეობის, ბუნების, მეურნეობისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ვრცელი დახასიათებაა მოცემული. აღწერისას ვახუშტი დიდ ადგილს უთმობს წყლის ობიექტების აღწერა-დახასიათებას, განხილული აქვს რეგიონის ასზე მეტი მდინარე, მათი სასარგებლო თვისებები, ასევე, მიწისქვეშა წყლები და სხვა.

„საქართველოს გეოგრაფიაში“ ცალკე თავი აქვს მიძღვნილი მეჯუდის ხეობას. მეცნიერი წერს: „მეჯუდა გამოსდის ჟამურის მთას, დის სამხრით დაბის მეჯუდამდე, ერთვის მეჯუდას დასავლიდამ მერის ხევი, გამოსდის ბენდერის მთას... მერეს ხევს ქვეით ერთვის მეჯუდას ბიყრის ხევი აღმოსავლიდამ გასმოდის უსანეთს (ბაგრატიონი 1997: 72).

მდინარის დაბალ ზონაზე წერს: „ერთვის ლიახვს მეჯუდის მდინარე, არს ბიყრამდე მეჯუდა ვენახოვან-ხილიანი, ამიერ-და-იმიერ დაბნები“ (იქვე: 76).

ამავე საუკუნის ცნობილი ენციკლოპედისტი იოანე ბაგრატიონი შრომაში „ქართლ-კახეთის აღწერა“ დაბა მეჯუდას არ ასახელებს და სათაურით „გვერდისძირზე“, რომელიც ქსნის საერისთაოს მიეწერებოდა, აღნიშნავს „ქვემო მეჯვრისხევი მოსახლე“ (ბაგრატიონი 1986: 37). აქ შეიძლება იმ აზრის დაშვება, რომ ზემოხსენებული დაბა მეჯუდა დღევანდელთან შედარებით უფრო ჩრდილოეთით მდებარეობდა, რასაც ინფორმატორებიც ადასტურებენ, ხოლო „ქვემო მეჯვრისხევი“ არის წინუბანი, რომელიც მაშინაც მეჯვრისხევის სამხრეთი სოფელი იყო, დატანილია ვახუშტის რუკაზეც და მერე შეერწყა დიდ სოფელს (ბაგრატიონი 1745).

ძირითადი ნაწილი

ხეობის მთელი რიგი ელემენტების შესასწავლად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა „1781 წლის ქსნის ხეობის აღწერა“, სადაც რამდენიმე სოფელია დასახელებული, რომლებიც ქსნის საერისთაოში შედიოდა. ეს სოფლები ძირითადად მდინარის სათავეებში მდებარეობდა და დასახლებული იყო გვარების მიხედვით.

ჰიდრონიმი სპეციალურ ლიტერატურაში განიმარტება როგორც „წყლიანი ობიექტის“ საკუთარი სახელი. ტერმინისათვის ამოსავალია ბერძნული სიტყვა „ჰიდორ“ - წყალი, რაც ჰიდრო ფორმით მრავალი სიტყვის პირველ კომპონენტს წარმოადგენს (ცხადაია 2005: 167).

წყალთან დაკავშირებული სახელები ბევრია ხეობაში, რომლებიც მოგვითხრობენ მთელი რიგი დასახლებების შესახებ როგორც ისტორიულად, ისე ჩვენს დროში, ე.ი. XX-XXI საუკუნეებში. მიგრაციული და პოლიტიკური მოვლენების გამო ხეობის ზემო მხრიდან, სადაც ძირითადად ქართველები სახლობდნენ, ბარად სხვადასხვა სოფლებსა და ქალაქებში გადასახლდნენ, ფაქტიურად დღეს მხარე დაცლილია.

ჩვენი მიზანია, როგორც ისტორიულად, ისე დღევანდელი პოზიციებიდან გამოვავლინოთ ჰიდრონიმები, წარმოვადგინოთ მათი გავრცელების არეალი, რაც დაგვეხმარება მთელი რიგი ისტორიული და ეთნიკური საკითხების გარკვევაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არცთუ იშვიათად რეალური ფაქტები დამახინჯებულადაა წარმოჩენილი.

ვახუშტი და იოანე ბაგრატიონების „აღწერებში“ მეჯუდის ხეობის მაგალითზე უნდა ითქვას, რომ ყველგან ნახსენებია ხევი, სადაც მდინარის ორივე ნაპირზე მოსახლეობა ცხოვრობდა. სულხან-საბას განმარტებით: „ხეობა - ერთ წყალზედ მრავალი მოსახლე“ (ორბელიანი 1991: 440). ვახუშტი ბაგრატიონი ზოგადად სხვა ხეობების აღწერის დროსაც ხევს, წყალსა და მდინარეს სინონიმური მნიშვნელობით იყენებს.

ხევი ასეა განმარტებული თანამედროვე ლიტერატურაში: „ხევი, მშრალი და დროებითი ნაკადიანი ღრმა ხეობაა. გამომუშავებულია ნიაღვრების ეროზიული მოქმედების შედეგად, სიგრძე აქვს რამდენიმე ათეული კილომეტრი, უწოდებენ წყლის დროებით მცირე ნაკადსაც“ (ქსე 1987: 451).

ხევი - მდინარის ღრმა კალაპოტი მთებში, პატარა მდინარე მთებს შუა (ქეგლ 1986). აკ. შანიძე აღნიშნავს, რომ **ხევი**, **ხევა** ფორმებმა შეიძლება წყალიც აღნიშნოს, მთელი ხეობაც და სოფლის სახელადაც იქცეს (შანიძე 1953: 138).

ჩვენი დაკვირვებით, **ხევი** და **ხევა** სიტყვაფორმებს შორის გარკვეული განსხვავება არის; ხევი ხშირ შემთხვევაში ცალკე, მსაზღვრელის გარეშე შეიძლება შეგხვდეს, ხევა კი უთუოდ მსაზღვრელს დაირთავს და გამოყენების სიხშირით არ გამოირჩევა.

ხეობის ჰიდრონიმიის წარმოსაჩენად და საკვლევად მნიშვნელოვანი წყაროა „1781 წლის ქსნის ხეობის აღწერა“, რომელიც ივ. ჯავახიშვილმა შეადგინა და 1967 წელს გამოსაცემად მოამზადეს დ. მეგრელაძემ და ნ. ჯავახიშვილმა (ჯავახიშვილი 1967).

იმ დროისათვის ხეობის ზემო წელზე „ისროლის ხევს ატენში“ ცხოვრობდნენ: სალუქაშვილი ხოსრო, ივანე, პატა, აბრამ, გლახა, ბერი; ელიაურები (დათუნა, კურდღელა); ასტამაძეები (ზურაბა, იესე, ზარიძე); ხახაშვილები (თამაზა, გელია)... ატენს ხახაანთკარს უწოდებდნენ, აქ მცხოვრები ხახაშვილების გვარის გამო.

სოფელი, აწ უკვე ნასოფლარი, **ატენი** ისროლისხევის წყლის სამხრეთ-დასავლეთით ტბის მთისკენ ლოკალიზდება, სადაც ახლაც არის საკულტო ნაგებობის ნაშთები, ჭინჭარგადავლილი სახლები, იქაურობა მდუამრებას მოუცავს. ბარად ჩამოსული ხალხი ყოველთვის აკითხავდა მშობლიურ ადგილებს და ეს არის მიზეზი, რომ მამა-პაპათა გადმოცემით ბევრი რამ ახსოვთ და სიამოვნებით გვთანხმდებიან სასაუბროდ.

აქ არის ორი წყალი, ღელე **ატენის წყალი**, რომლებიც სათავეს ტბის მთის ჩრდილოეთის ფერდობიდან იღებენ და ისროლისხევის წყლის მარჯვენა შენაკადებია. ბარად წასულები ზაფხულობით აქ აბალახებდნენ

საქონელს და გული მოუწევდათ უკან, მაგრამ ეს ჯერ ვერ ხერხდება ოკუპაციის გამო.

ცალკე უბნად ცხოვრობდნენ ასტამაძეები, რომლებსაც გამოყვანილი ჰქონდათ წყარო, რომელიც ახლაც არის, ოღონდ თიხის მილების ნამსხვრევები ირგვლივ მიმოხრეულია.

აღწერაში „ისროლის ხევს ჯავახთაში“, სადაც ორ უბნად ამ ოცი წლის წინ კიდევ ცხოვრობდნენ კვირიკაშვილები, ციცაგები, ფოსურები, ოდიშვილები, დღესაც არის ორი წყარო: მაცხოვრის წყარო, ოდიანთ წყარო. გინტურების უკან ჩრდილოეთის მხარეს არის კაკლის კორომი, სადაც არის ჰიდრონიმი ჯავახთწყარო. ეს ნიშნავს, რომ აქ ცხოვრობდნენ ჯავახეთიდან მოსულები, იწერებოდნენ ჯავახიშვილებად, თავიანთ დასახლებას უწოდეს ჯავახთა. ეს სახელი შემდგომ ოფიციალურად სოფელს ეწოდებოდა. ზემოხსენებული ატენის შემდგომ, რომელმაც ზემო მხარის ცენტრის ფუნქცია დაკარგა, ეს მიიღო ჯავახთამ, სადაც იყო დაწყებითი სკოლა, კლუბი, ბიბლიოთეკა...

როგორც ზემოხსენებული ისტორიული დოკუმენტები მოგვითხრობენ, ხეობის სულიერი კულტურის ძეგლები დიდი ხნიდან ცოცხლობენ. ისინი დღესაც ბევრ საინტერესო ამბავს მოგვითხრობენ, სად იყო ესა თუ ის დასახლება, ამა თუ იმ გვარის პირველსაცხოვრისი, რატომ არის მათი გვარები ასე ახლოს დანათესავებული და სხვა.

ხეობის ჰიდრონიმთა სახელდებაში მეტწილად ტერმინი **წყალი** გვხვდება, რაც ისტორულად არის განპირობებული. ქეგლ-ში აღნიშნულია: წყალი - 1. უფერული, გამჭვირვალე სითხე (ქეგლ 1986). ლექსიკონების მიხედვით, **წყალი** და **მდინარე** გაიგივებულია. სულხან-საბა ორბელიანი წერს: „წყალი ეწოდების ზღვასა, ტბასა, მდინარესა, წყაროსა, ფშასა, ჯურღმულთა, წვიმათა და თოვლთა ნადნობთა და ამათ მიერ იქმნებიან“ (ორბელიანი 1993: 391). დიდ ლექსიკოგრაფს განმარტებული აქვს ასევე: წყარო, მორევი, ჩანჩქერი, ზვირთი, ტბორი და სხვები.

ხეობაში, როგორც აღვნიშნეთ, რაოდენობით პირველ ადგილზეა ტერმინი **წყალი**, რომელიც პრეპოზიციური მსაზღვრელ-საზღვრულის მეორე კომპონენტს წარმოადგენს. მათი საშუალებით შესაძლებელია ნასოფლარების ლოკალიზაცია. მაგალითად:

არკინარეთის წყალი - მეჯუდის მარჯვენა შენაკადი, სოფლის ძველი სახელია რკინარეთი, ვახუშტი უწოდებს აკანათურს; **აშატურის წყალი** - მარცხენა შენაკადი; **ბენდერის წყალი** - მარჯვენა შენაკადი; **ბიყრის წყალი** - მარცხენა შენაკადი; **გომთის წყალი** - მარჯვენა შენაკადი; **გორეთის წყალი** - მარჯვენა შენაკადი, სათავეს იღებს ორბოძალას მთის მასივში; **ისროლისხევის წყალი** - მარჯვენა შენაკადი; **მახისის წყალი** - მარცხენა შენაკადი; **ქლივანის წყალი** - მარჯვენა შენაკადი; **წყლების მთის წყალი** - მარჯვენა შენაკადი; **ხარულის წყალი** - მარცხენა შენაკადი.

ხშირია ასევე, **ხევი** კომპონენტის შემცველი ჰიდრონიმები, სადაც აღნიშნულია გვარები:

ბეზეთ ხევი - მარჯვენა შენაკადი. არის ნასოფლარი; **ბერუანთ ხევი** - მარცხენა შენაკადი; **გრძელი ხევი** - მარცხენა შენაკადი; **დათვიაანთ ხევი** - მარჯვენა შენაკადი; **დეალიანთ ხევი** - მარცხენა შენაკადი; **თირის ხევი** - მარცხენა შენაკადი; **ივრეთის ხევი** - მარცხენა შენაკადი; **კამელაანთ ხევი** - მარცხენა შენაკადი; **კიკვილაანთ ხევი** - მარჯვენა შენაკადი; **ნადირაანთ ხევი** - მარჯვენა შენაკადი; **ნინიკაანთ ხევი** - მარჯვენა შენაკადი; **ნიში ხევი** - მარცხენა შენაკადი; **ჟამურაანთ ხევი** - მარჯვენა შენაკადი. სოფელს ეწოდებოდა ჟამურლიანი; **სალუქაანთ ხევი** - მარჯვენა შენაკადი; **საცალე ხევი** - მარცხენა შენაკადი; **ტერჯოვნის ხევი** - მარცხენა შენაკადი; **ტორტლა ხევი** - მარცხენა შენაკადი; **უსანეთის ხევი** - მარცხენა შენაკადი; **ქაშუეთის ხევი** - მარცხენა შენაკადი; **ხევისჯვრის ხევი** - მარჯვენა შენაკადი.

პოსტპოზიციური წყობის ნიმუშები, რამდენიმეს გარდა, არ დასტურდება.

ხეობაში გამოიყოფა, ასევე, დასახლებული ადგილების, ციხეების, მთების, ტყის, კლდის, სხვა ობიექტთა სახელები, სადაც მეორე კომპონენტია **წყალი, წყარო, ხევი, ღელე, ჭალა, ტბა**. საილუსტრაციო მასალა:

ვანურის წყალი (ხეობა) - მარცხენა მხარე; **მეჯვე წყალი** - მეჯუდის მარცხენა მხარეს, ქმნის პატარა ღელეს; **სამების მთის წყალი** - მარცხენა შენაკადი; **ქაშუეთის წყალი** - ეკლესიის სახელია; **ხარაულის წყალი** (მთა) - მარცხენა შენაკადი.

ავაზნი(ს) წყარო - სოფელი ვილდასთან; **ასკილაანთ წყარო** - ადრე ეს გვარი ასკილაშვილი, ყოფილი პავლიაშვილი, ცხოვრობდა ზემო ისროლისხევში. გადასახლდნენ პატარა ლიახვის ხეობაში; **ზურაანთ წყარო** - ზურაბ ელიაურის მიხედვით, სოფელ ვილდაში; **კურდელაანთ წყარო** - ელიაურის შტოგვარის მიხედვით, შემდგომ ცალკე გვარად ჩამოყალიბდა; **ლექსოს წყარო** - ელიაური; ნაფეტვარი წყარო - პატარა ქოლოთში, ეპატრონებოდნენ სარაულები, ამჟამად ნასოფლარია; **ნიორამიანთ წყარო** - ელიაურის შტოგვარის მიხედვით; **საქერეების წყარო** - პატარა ქოლოთში; **ტოჩინური წყარო** - იყო სახნავიც, მინდვრის თავში, მდ. მარჯვენა მხარეს; **ფიდიური(ს) მზვარე წყარო** - მარცხენა შენაკადი; **ჩალრეთის წყარო** - ნასოფლარი; **ჩილიაანთ წყარო** - ელიაურის შტოგვარის მიხედვით; **ჭობური წყარო** - მეჯუდის მარცხენა მხარეს.

ბიეთის ხევი - სახელი დარქმეულია მე-10 საუკუნის მეგლის ბიეთის სახელის მიხედვით; **ტბის ხევი** - (ჩრდილოეთით) მარჯვენა შენაკადი; **უსანეთის ხევი** (მთა) - მარცხენა შენაკადი; **წიწიურას ხევი** - მარჯვენა მხარე (სახელი დარქმეულია მთის გამო); **ჭალისუბნის ხევი** (დასახლება) - მარცხენა შენაკადი.

დეალიაანთ ჭალა - მეჯუდის მარცხენა ნაპირზე, გვარ დვალიშვილის მიხედვით; **ყრუ ჭალა** - ნასოფლარი ზემო ვილდასთან, ტყიანი ადგილი.

თეთრი მიწის ღელე - მარჯვენა შენაკადი; **ტბის** (მთა) **ღელე**, მარჯვენა შენაკადი; **ნაწისქვილარი** - ეს სახელი ეწოდება ხეობაში ორ ათეულამდე

ადგილს, რომლებიც მდინარე მეჯუდაზე ადრე გამართული პატარა წისქვილების სახელებია: მესტუმრიაანთ (გვარებია) წისქვილი, კეკელაანთ წისქვილი, დვალაანთ წისქვილი, ელიაურთ წისქვილი...

ხეობაში გვხვდება ჰიდრონიმები, რომლებიც ქართული **-ურა / -ულა** სუფიქსით არის ნაწარმოები: **ამ-ურ-ა, ვან-ურ-ა, შინდ-ურ-ა, წიწი-ურ-ა, ჭობ-ურ-ა...** გვაქვს **-ა** სუფიქსით გაფორმებული ჰიდრონიმებიც: **გრძელ-ა, მჟაველ-ა, რეხვ-ა, ტარტალ-ა, ტორტლ-ა, ჩანჩხარ-ა...** **-ა** მაწარმოებელი სუფიქსის შესახებ არსებობს სხვადასხვა გამოკვლევები. თ. ზურაბიშვილს მიაჩნია, რომ ასეთი სახელები კნინობითობის ფუნქციითაა აღჭურვილი, მაგრამ გეოგრაფიულ სახელებში მსგავსების მნიშვნელობას იძენს (ზურაბიშვილი 1961: 14).

პ. ცხადაიაც თვლის, რომ **-ა** სუფიქსს წარმოების უნარი გააჩნია (ცხადაია 1985: 83).

მსაზღვრელ-საზღვრულისგან შედგენილი ჰიდრონიმები ორგვარია:

ა) სუბსტანტიური (არსებითი სახელი + არსებითი სახელი):

ფიცართის წყალი, ლოპრი(ს) წყალი, გუბის წყარო, კლდი(ს) წყარო, ავაზნი(ს) წყარო, ქელურთ დელე, თეთრი მიწის დელე, მოლოფთი(ს) დელე, ტერჯოვნის ხევი, ტბის ჭალა...

ბ) ატრიბუტული (ზედსართავი სახელი + არსებითი სახელი):

თეთრი წყალი, შავი წყალი, ჟავე წყალი, ლიკლიკა წყარო, ჩანჩხარა წყარო, ტალტარა ხევი...

დასკვნა:

მეჯუდის ხეობა, ისე როგორც ქართლის სხვა ხევ-ხეობები, ძალზე საინტერესოა თავისი ისტორიით, თავსგადახდენილი ამბებით, სოფლებით, ნასოფლარებით, რომელთა ნაწილი დაფიქსირებულია მთელ რიგ წერილობით ძეგლებში. ჩვენ წარმოვადგინეთ ნაწილი ჰიდრონიმებისა, რომლებიც მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის ამა თუ იმ გეოგრაფიული ადგილის ლოკალიზაციის, ნიშანდობლიობის, სახელწოდების მოტივაციის თვალსაზრისით. მიგვაჩნია, რომ ამ მიმართულებით კვლევა უნდა გაგრძელდეს, რომ სრულყოფილად იქნეს შესწავლილი და წარმოჩენილი ამ კუთხის გეოგრაფიული ნომენკლატურა.

გამოყენებული ლიტერატურა

ბაგრატიონი 1745: ბაგრატიონი ვ., რუკები. თბილისი, 1745.

ბაგრატიონი 1997: ბაგრატიონი ვ., საქართველოს გეოგრაფია. თბილისი, 1997.

ბაგრატიონი 1986: ბაგრატიონი ი., ქართლ-კახეთის აღწერა. თბილისი, 1986.

ორბელიანი 1993: ორბელიანი ს.ს., ლექსიკონი ქართული. თბილისი, 1993.

ქეგლ 1986: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, არნ. ჩიქობავას რედაქციით. თბილისი, 1986.

ქსე 1987: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 12 ტომად, თბილისი, 1975-1987.

ღლონტი 1964: ღლონტი ალ., ქართული ლექსიკოგრაფია. თბილისი, 1964.

ღლონტი 1971: ღლონტი ალ., ტოპონიმური ძიებანი, I. თბილისი, 1971.

შანიძე 1973: შანიძე აკ., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. თბილისი, 1973.

ცხადაია 2005: ცხადაია პ., ონომასტიკის შესავალი. თბილისი, 2005.

ჯავახიშვილი 1967: ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წიგნი I, დემოგრაფიული ძეგლები. თბილისი, 1967.

ჯორბენაძე 1993: ჯორბენაძე ბ., ონომასტიკური გულანი. თბილისი, 1993.